თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო პროცესის ეფექტიანობა

რა შეისწავლა აუდიტმა	რა მიგნებები აქვს აუდიტს
სააღსრულებო საქმისწარმოების პროცესი და მონიტორინგის სისტემა	▸ აღმასრულებლის მიერ პერიოდულად საქმეთა ნუსხის წარმოუდგენლობა და, შესაბამისად, თითოეულ სააღსრულებო საქმეზე განხორციელებული ქმედებებისა და შემაფერხებელი გარემოებების ანალიზის არარსებობა, იწვევს წარმოების მიმდინარეობის შესახებ არასწორ აღქმასა და შემდგომი ქმედების განუხორციელებლობას. საქმეებზე მონიტორინგი არასრულყოფილი ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს აღსრულების დროში გახანგრძლივებისა და არაეფექტიანი წარმოების გამომწვევი მიზეზების სრულ იდენტიფიცირებას.
სააღსრულებო კანონმდებლობა და იძულებითი აღსრულების პროცესი	▸ კანონმდებლობა ბიუროს ყველა სააღსრულებო საქმესთან მიმართებით არ ანიჭებს შესაბამისი იძულებითი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას. ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე ბიურო ვერ ახორციელებს იმგვარ სააღსრულებო მოქმედებას, რომელიც მოვალის ჩართულობის გარეშე უზრუნველყოფს სამართლებრივი და ფაქტობრივი შედეგის დადგომას.
მოვალის ქონების მოძიების საშუალებები	▸ ბიურო ვერ უზრუნველყოფს მოვალის ქონების მოძიებას - კრიპტოაქტივზე, ფასიან ქაღალდებსა და სათამაშო ბიზნესში თანხის ვირტუალურად შენახვის საშუალებებზე; ყადაღისაგან უსაფუძვლოდ თავისუფლდება ის თანხა, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო პენსიასა და სოციალურ დახმარებას და ირიცხება ამ მიზნით გამოყენებულ ანგარიშებზე; დასაკავებლად გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძიების პროცესში, ბიურო ვერ იყენებს ყველა შესაძლო ადმინისტრაციული ორგანოს რესურსს.
აღსრულების ეროვნული ბიუროს ადამიანური რესურსები	▸ ბიუროს არ აქვს დანერგილი სავალდებულო განგრძობითი განათლების სისტემა. ჩატარებული ტრენინგები სრულად ვერ ფარავს კარგი პრაქტიკით გათვალისწინებულ თემატიკას; ასევე უზრუნველყოფილი არ არის ყველა თანამშრომლის ჩართულობა თითოეულ ტრენინგში და სწავლებას არ აქვს განგრძობადობის სისტემური ხასიათი.
სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა	▸ პროგრამაში გამოყენებული ტექნოლოგია მოძველებულია და დგას სისტემის გადაწერის აუცილებლობა. პროგრამაში არსებული კონტროლის სხვადასხვა ნაკლოვანება ზრდის არაავტორიზებული წვდომის რისკს.
დაყადაღებული ნივთების საწყობში აღრიცხვა	▸ ბიუროს მიერ არასრულყოფილად ხდება საწყობში განთავსებული დაყადაღებული ნივთების ანალიზური აღრიცხვა, რის გამოც ყველა ნივთი არ არის დაკავშირებული სააღსრულებო საქმესთან. საწყობებში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გაიცა რეკომენდაციები, რომლის განხორციელების შედეგად

- **დაინერგება ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს აღსრულების შემაფერხებელი გარემოებების ანალიზს და სააღსრულებო მოქმედების დროულ განხორციელებას;**
- **შემუშავდება საკანონმდებლო ცვლილებები იმ ტიპის სააღსრულებო წარმოებებისთვის, რომლებშიც იძულებითი აღსრულების ღონისძიებები შემოიფარგლება მხოლოდ მოვალესთან კომუნიკაციით;**
- **უზრუნველყოფილი იქნება ქონების მოძიება მოვალის შემდეგ ქონებაზე - კრიპტოაქტივზე, ფასიან ქაღალდებსა და სათამაშო ბიზნესში თანხის ვირტუალურად შენახვის საშუალებებზე;**
- **აღმასრულებლებისათვის დაინერგება განგრძობადი განათლების სისტემა;**
- **უზრუნველყოფილი იქნება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება;**
- **დაყადაღებული ნივთები დაკავშირდება სააღსრულებო საქმესთან.**